

# საქართველოში

# პირველი

# სამოქალაქო

# "დრონი"

# დაარეგისტრირეს

✘ **სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ საქართველოს სამოქალაქო უპილოტო საჰაერო ხომალდების რეესტრში პირველი "დრონი" დაარეგისტრირა.**

DJI Hexa Copter Matrice 600 ტიპის უპილოტო საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი ფიზიკური პირია, რომელიც "დრონის" მეშვეობით საჰაერო ფოტოგადაღებას და სააგენტოს თანხმობით ცადვეურ შემთხვევებში სხვადასხვა სახის საგნების გადატანას ახორციელებს.

დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდი მრავალფუნქციური დანიშნულებისაა და პროფესიული საჰაერო ფოტოგადაღების გარდა, სხვადასხვა სახის ინდუსტრიაში გამოიყენება. „დრონის“ მაქსიმალური ასაფრენი მასა საშუალოდ 15.5 კილოგრამია, რა დროსაც მას 6 კილოგრამი წონის სპეციალური სასარგებლო ტვირთის გადატანის უნარი გააჩნია.

პირველ რეგისტრირებულ უპილოტო საჰაერო ხომალდს სააგენტოს მიერ ამოსაცნობი ნიშანი – GE-001 მიენიჭა.

უპილოტო საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა აღემატება 5 კილოგრამს ექვემდებარება რეგისტრაციას.

რეგისტრაციის მოწმობა ვარგისია უპილოტო საჰაერო ხომალდის არსებობის მანძილზე და არის უვადო (რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს უპილოტო საჰაერო ხომალდის სხვა პირზე საკუთრებაში გადაცემისას, უპილოტო საჰაერო ხომალდის დაკარგვისას და კანონმდებლობით გათვარისწინებულ სხვა შემთხვევაში). მონაცემთა ბაზაში შეტანილ უპილოტო საჰაერო ხომალდს ენიჭება ამოსაცნობი 5

ციფრიანი ნიშანი.

„უპირატო საჭაერო ხომარდების რეგისტრაციისა და ფრენის, აგრეთვე უპირატო საჭაერო სისტემისა და უპირატო საჭაერო ხომარდების ექსპრუატაციის, გამოყენებისა და შეზღუდვების წესები“ 2017 წდის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. სამოქარაქო ავიაციის სააგენტოში უპირატო საჭაერო ხომარდების რეგისტრაციის, ასევე სპეციფიკურ კატეგორიაში ექსპრუატაციის მოთხოვნები 2017 წდის 1 ნოემბრიდან შევიდა ძარაში. რეგურაცია ადგენს უპირატო საჭაერო ხომარდების ექსპრუატაციის ნორმებს და მისი მიზანია ფრენის უსაფრთხოების დაცვა საქართვედოს საჭაერო სივრცეში.